საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.04.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 032/22

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ა. გ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2022 წლის 26 აპრილს საჩივრის ავტორმა მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ა. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2014 წლიდან ნ. კ. და ადვოკატი ა. გ. არიან მომჩივანის მოდავე მხარის წარმომადგენლები, რომლებმაც 2016 წელს მოამზადეს სარჩელი, რაც არ შეიცავდა სწორ ინფორმაციას და მითითებული იყო „ცრუ ბრალდებები". აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ა. გ.-მ „მოატყუა" სასამართლო. ა. გ. დღემდე აგრძელებს აღნიშნულ საქმეზე მ. ქ.-ს საადვოკატო მომსახურებას სააღსრულებო ბიუროში, სადაც მომჩივანის გამოსახლებაზე 2019 წელს წარდგენილია აუდიტორული დასკვნა. სადავო საკითხზე სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის 17 იანვარს, „ცრუ ფაქტებზე" დაყრდნობით.

1.2 საჩივრის მიხედვით, ადვოკატებმა არაკეთილსინდისიერად და ბოროტად გამოიყენეს თავიანთი უფლებები. საჩივრის ავტორის განცხადებით, ეთიკის კომისიამ უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები თბილისის სააღსრულებო პოლიციიდან, სადაც არის მ. ქ.-ს შუამდგომლობით, გადაწყვეტილება გამოსახლებაზე და შესაბამისად, დასადგენია იცავენ თუ არა მ. ქ.-ს სააღსრულებოში ადვოკატები დ. ხ. და ა. გ. დღესაც და აქვს თუ არა სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი მ. ქ.-ს აუდიტორული დასკვნა თ. კ.-ის შედგენილი სადაო ქონების შეფასების თაობაზე. ამასთან, დასადგენია, 2012 წლიდან „დაწყებული დანაშაული" არის თუ არა დენადი, გ. შ.-ს წარმომადგენლობით როგორ გაუწია საადვოკატო მომსახურება დ. ხ. მ. ქ.-ს, იმ გარემოებებში, როდესაც მასზე გაცემული მინდობილობის უფლებამოსილება შეწყდა გ. შ.-ს გარდაცვალებით.

1.3 სარჩელში რომელიც ხელმოწერილია ნ. კ.-ის მიერ, თუმცა მას მხარი დაუჭირა დ. ხ.-მ და ა. გ.-მ აღნიშნულია, რომ მოპასუხეებთან „საუბარი შეუძლებელია", რაც ასევე მომჩივანის განცხადებით მისი შეურაცხყოფაა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ხ. „ტყუილს" ამბობდა მის წინააღმდეგ სასამართლოში, თითქოს ის 2004 წლიდან არ ცხოვრობს სადავო ბინაში, მაშინ როდესაც გამგეობას დადგენილი და გამოკვლეული აქვს ფაქტი პოლიციის მეშვეობით, ადგილზე ოქმების შედგენით მასზედ რომ 2004 წლიდან 14 წელზე მეტია უწყვეტად ცხოვრობდა მ. ქ. ბინაში.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დ. ხ. მიუხედავად იმისა, რომ თ. კ.-ის გაცემული აუდიტორული დასკვნის გამოყენება „არ შეიძლებოდა", ის მაინც წარადგინა სასამართლოში და აღსრულების ეროვნულ ბიუროში, რითიც დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები. საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ხ. შეურაცხყოფა აყენებდა სასამართლო პროცესებზე, რაც გამოიხატებოდა მის მიერ ცრუ ინფორმაციის გაჟღერებაში, რომ თითქოს მ. ქ. „ამბობდა ტყუილს" და მიუთითებდა, რომ მას მალე „გამოასახლებდნენ".

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 2022 წლის 19 მაისს ადვოკატმა ა. გ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი უსაფუძვლოა.

2.2 2018 წლის 17 იანვარს ზემოაღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა მ. ქ.-ს სარჩელი, მოპასუხეების: მ. ქ.-ის, ე. თ.-ის, ვ. თ.-ის, და ე. თ.-ის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა უძრავი ნივთი და გადაეცა მოსარჩელე - მ. ქ.-ს. სასამართლო გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით შესულია კანონიერ ძალაში, ამოწერილია სააღსრულებო ფურცელი და გადაცემულია აღსასრულებლად სააღსრულებო ბიუროსთვის - 2019 წლის 17 მაისს. სააღსრულებო ბიუროში საქმე შეიტანა მ. ქ.-მ. სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობა ა. გ. ახორციელებდა ნ. კ.-სთან ერთად. რაც შეეხება საჩივარში მითითებას იმის თაობაზე, რომ საქმე არის დენადი, ადვოკატის განცხადებით, მომჩივანი სავარაუდოდ გულისხმობს იმ გარემოებას, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ჯერჯერობით აღსრულებული არ არის.

2.3 ადვოკატის განცხადებით, რაც შეეხება გ. შ.-ს, ის უარყოფს, რომ ნ. კ.-სთან ერთად წარმოადგენდა მის ინტერესებს და აუდიტისთვის არ მიუმართავთ. ადვოკატი განმარტებით ის ნ. კ.-სთან ერთად დღემდე წარმოადგენს მ. ქ.-ს ინტერესებს სააღსრულებო ბიუროში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, თავდაპირველად, 2010 წლის დეკემბერში, სასამართლო პროცესზე, სადაც ერთ ერთი მოსარჩელე (7 მოსარჩელეთაგან) იყო აწ. გარდაცვლილი გ. შ. მისი სასარჩელო მოთხოვნაც დაკმაყოფილდა 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოპასუხეების - მ. ქ.-ის, ე. ე. და ვ. თ.-ების, მიმართ და მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა უმრავი ნივთი და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელე გ. შ.-ს.

2.5 მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იქნა შესული, ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, მომზადდა აუდიტორული დასკვნა მ. ქ.-ს მიერ და საქმე გადაეცა სააღსრულებო სამსახურს, ამის შემდგომ, გახდა ცნობილი გ. შ.-ს გარდაცვალების ფაქტი, რის გამოც სააღსრულებო წარმოება შეწყდა და მოპასუხეების სადაო ბინიდან გამოსახლების პროცესიც არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოება გახდა საფუძველი იმისა, რომ მ. ქ.-ს მიემართა სასამართლოსათვის დამოუკიდებლად (2016 წელს) სარჩელით.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მ. ქ. სახელმწიფოსგან დღემდე არ არის დაკმაყოფილებული არც საცხოვრებელი ფართით და არც საკომპენსაციო ფულადი თანხით.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის მითითება იმის თაობაზე, რომ მასთან საუბარი „შეუძლებელია“, მიიჩნევს, რომ მოპასუხეებს არ შეეძლოთ თანამოსაუბრესთან (მოწინააღმდეგე მხარესთან) მშვიდად, თანმიმდევრულად საუბარი. ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის მითითებით, სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ტყუილ ფაქტებზე, მაგრამ აღიარებენ, რომ ეს მათი ბრალეულობით განხორციელდა, რადგან ვერ შეძლეს თავიანთი უფლებების ჯეროვნად დაცვა, აღნიშნულს ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ მათ (მოპასუხეებმა, მათ შორის მ. ქ.-მა) გაუშვეს სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების ვადა, რის გამოც შემდგომში, მოპასუხეთა კერძო საჩივრები დარჩა განხილვის გარეშე, როგორც სააპელაციო სასამართლოს, ისე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატების მიერ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. ქ.-მა კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 26 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2017 წლიდან დღემდე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, მოდავე მხარის ადვოკატი მხარს უჭერდა სასამართლოში მომჩივანის მიმართ წარდგენილ სარჩელს, რომელიც „ცრუ ბრალდებებს“ შეიცავდა; სასამართლოს აწვდიდა არასწორ ინფორმაციებს, მათ შორის მომჩივანზე აცხადებდა, რომ „ის „იტყუებოდა“ და „მალე გამოასახლებდნენ“ და განმარტავდა, რომ მ. ქ.-სთან და სხვა მოპასუხეებთან საუბარი „შეუძლებელი“ იყო, რაც საჩივრის ავტორისთვის იყო შეურაცხმყოფელი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი პროფესიული ვალდებულების დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლი).

5.3 „ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის ვალდებულებაა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას“ (იხ. ეთიკის კომისიის 24/01/2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №075/11 პარ.3.6).

5.4 დასტურდება, რომ ადვოკატი ა. გ. დღემდე წარმოადგენს მომჩივანის პროცესუალურ მოწინაღმდეგე მხარეს - მ. ქ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება იმსჯელოს მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხზე, მათ შორის საქმის გამოკვლევის მიზნით, შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვოს კონკრეტული მტკიცებულებები, რაც ეხება მომჩივანის სადავო ბინიდან გამოსახლების საკითხს, რაც სასამართლოს შეფასების საგანია. რაც შეეხება ადვოკატის მიერ მომჩივანის, როგორც პროცესის მონაწილე პირის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვას, ის ფაქტი, რომ ადვოკატი მოქმედებს მისი კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, ბუნებრივია, აღნიშნული არ არის მომჩივანის, როგორც საწინააღმდეგო პოზიციის მქონე პირის ინტერსების გამომხატველი და შესაძლოა, მომჩივანი არ იზიარებს ადვოკატ ა. გ.-ის განმარტებებს საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, არ დასტურდება ადვოკატის საადვოკატო საქმიანობის კანონდარღვევით განხორციელება, მათ შორის განზრახ სასამართლოსთვის „ყალბი“ მტკიცებულებების მიწოდება. რაც შეეხება, ადვოკატის მიერ მითითებას იმის თაობაზე, რომ „მოპასუხეებთან საუბარი შეუძლებელია“, წარმოადგენს ადვოკატის მოსაზრებას და არ სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილისადმი პატივისცემის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევა, უნდა არსებობდეს საკმარისი დასაბუთებული ვარაუდი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №032/22 ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/